დასავლეთის ათვისების პროცესში ხელისუფლების ღონისძიებთა შორის ერთ-ერთი პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ფორტების მშენებლობა. ინდიელთა ტერიტორიები ამერიკული სამხედრო ფორტების რკალში ეტაპობრივად ექცეოდა. ფორტებში მდგარი სამხედრო ფორმირებები პატროლირებდნენ რეგიონს, იცავდნენ სარკინოგზო ხაზებსა და ახალმოსახლეთა სამომარო არტერიებს ინდიელთა შესაძლო თავდასხმისგან. ფორტები ქმნიდნენ ერთგვარ უსაფრთხო კორდონს და თეორიკანაინი მოსახლეობის

სულ უფრო მზარდი ნაკადი დასავლეთის ტერიტორიების სიღრმეებში შედიოდა. შეიძლება ითქვას, ფორტებმა ერთ-ერთი გადაამწყვეტელი როლი ითამაშეს დასავლეთის ათვისების საქმეში.

XIX საუკუნის განმავლობაში აშშ-ის დასავლეთში აგებული სამხედრო ფორტები დიზაინის მიხედვით ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ შტატში არ არსებობდა საზოგადო დოქტრინა საფორტიფიკაციის მშენებლობისთვის.

რეგულაცია ქებოდა მხოლოდ სამხედრო რანგების შესაბამისად ოთახების განაწილებისა და კეთილმოწყობის საკითხს. უმეტეს შემთხვევაში სამხედრო ფორმირების მეთაური ფორტის მშენებლობისას აპოლოტურად თავისუფალი იყო არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებისას.

ზნირად მეთაურები საფორტიფიკაციის სფეროში კიდევ უფრო ნაკლები პროფესიონალიზმის მქონე ლეიტენანტებს გადააბარებდნენ ფორტის დაცვასა და მშენებლობას. ეს უკანასკნელი კი მშენებლობის პროცესში საკუთარი კერძო შეხედულებებისამებრ გასცემდნენ განკარგულებებს. მცირე

დაფინანსება აიძულებდა ოფიცრებს მშენებლობისთვის მხოლოდ ახლომდებარე ტერიტორიებზე არსებული ხელმისაწვდომი რესურსები გამოეყენებინათ. ფრონტიანის ეპოქის სამხედრო ფორტებისთვის საერთო დამახასიათებელი იყო მხოლოდ ორი საკითხი: ფორტის ზოგადი დაგეგმარება და სამხედრო წოდებრივი იერარქიის გათვალისწინება ყაზარმების მშენებლობისას.

ფორტის ზოგადი დაგეგმარების შემადგენელი ნაწილები იყო: სრულ პერიმეტრზე შემოღობვა, მიწაში ვერტიკალურად ჩასობილი, მიჯრით მიწობილი მორებისგან შედგენილი კედელი, ალაგავი, სააღდგომო მიუღანი, ფორტის კედლის პერიმეტრში ჩაყოლებული საგუშაგო კოსტები, ოფიცერთა საცხოვრებელი კორპუსი, ყაზარმა, თაღა, დამძაბრე ნაკვებობები (სახელოვნო, პოსტიკალი, მრეცხავთა საცხოვრებლები).

დასაუღეთის ტერიტორიების ათვისება სირთულის მიხედვით განსხვავდებოდა. იყო ზონები, სადაც ხელისუფლება მოლაპარაკებებით ახერხებდა კონფლიქტური სიტუაციის გამწვანებას და ინდიელებთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას. ასეთ რეგიონებში ფორტები ნაკლებად იყო გადატვირთული თავდაცვითი ინფრასტრუქტურით. თუმცა იყო განსაკუთრებულად მწვავე ზონები, მაგ., სამხრეთ-დასავლეთში (აპაჩების ტერიტორიები) ჩრდილოეთ და სამხრეთ დაბლობებზე (სიუა და კომანჩების ტერიტორიები). ასეთ რეგიონებში ფორტებიც მრავლად შენდებოდა და თითოეულის კონსტრუქციამ დიდი ყურადღება ეთმობოდა დამატებით თევდაცვით ელემენტებს: ბლოკაუზები (ორსართულიანი კომპისმაგარი თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც პერიმეტრის უკეთ გაკონტროლების მიზნით სამხედრო პირს ერთი ან რამდენიმე პოზიციიდან ცეცხლის გახსნის საშუალებას აძლევდა), მიწაყრილები, თხრილები.

დასაუღეთის დიდი დაბლობების ზონაში საშენ მასალად საჭირო ხეტყის დეფიციტის გამო იქაურ ფორტებს ზშიად არ ჰქონდათ კლასიკური ფორტებისთვის დამახასიათებელი ხის კედელი. გამონაკლისის სახით შეიძლება დასახელდეს მხოლოდ რამდენიმე დაბლობის ფორტი, რომელთაც მიუღ პერიმეტრზე კედელი ჰქონდათ. მაგ., ფორტ-ქარნი — ვაიომინგში, ფორტ-რაისი — ჩრდილოეთ დაკოტაში. ცხადია, უკუღლოდ ფორტის ტერი-

ტორიაზე შესვლა ნებისმიერი მხრიდან იყო შესაძლებელი.

ფორტებში ყოველთვის თვალში ხავეში იყო მაღალი რანგის ოფიცერთა საცხოვრებლები, დაბალი რანგის ოფიცრების ოთახები კი შედარებით სადა იყო. ყველაზე მარტივად შენდებოდა ყაზარმა. ყველა შემთხვევაში ფორტის ამა თუ იმ ნაგებობის დიზაინი და დაგეგმარება ინდივიდუალური იყო და ეს საკითხი წვდებოდა ლოკალურად, მშენებარე ფორტის ადგილზე.

დასაუღეთის ძირითად რეგიონებში ხეტყის დეფიციტის გამო ფორტების მშენებლობისთვის აქტიურად იყენებდნენ მზებზე გამოწვკარ თიხის აგურებსა და ქვის მასალას. ცალკეულ ფორტებში — ბეტონისმაგვარ ხსნარსაც.

დასაუღეთში ფორტების მშენებლო-


ბა ერთ კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა, ფორტებსა და იქ მობილიზებულ სამხედრო ფორმაირებებს უნდა დაეცვათ ახალმოხალგაა უსაფრთხოება და მოქმედებით ინდიელთა თავდასხმის სამიშროების ნეიტრალიზაცია.

ფრონტიანის ეპოქის ფორტები მოწინააღმდეგის საარტილერიო დარტყმების მოლოდინში არ იყვნენ. ინდიელთა მასობრივი და ფუნქციონალური შეტევის სამიშროება პრაქტიკულად არ არსებობდა. კარგად გამაგრებულ ფორტში მობილიზებული სამხედროებს უპრობლემოდ შეეძლოთ მოგვრებიანით ინდიელ მხედართა ნებისმიერი თავდასხმა.

ინდიელთა ასეთი შეტევა, როგორც წესი, მოლოდინის დიდი მსხვერპლით მთავრდებოდა. ყველაზე ბრძოდისუნარიანი ტომის მეთომებიც კი ძალი-

ოვალა სუს ტომის ბელადი რედ ქლაუდი 1866-1868 წლებში წინააღმდეგობა უაიომინგში სამხედრო ფორტების მშენებლობას. რედ ქლაუდი იყო ერთადერთი ბელადი, რომელმაც ომი მოუღო აშშ-ს. გამარჯვებული ბელადის მოთხოვნით ხელისუფლებამ ფორტები გააუქმა, ინდიელებმა კი ისინი მთლიანად გააღწვეს





ან იშვიათად ესხმოდნენ თავს უშუალოდ ფორტს. ამგვარად, ფორტის ფუნქცია იყო არმიელებისთვის შექმნა სამიწოდ დაკული და გამართული ინფრასტრუქტურის მქონე ბაზა, დისლოკაციის ადგილი, საიდანაც სამხედროები მოახდენდნენ დანარჩენი რეგიონის პატრულირებას.

ფორტი იყო ერთგვარად ამერიკის ხელისუფლების პეკომონის ნიშანი ინდიელთა დასავლეთში.

დასავლეთის ვრცელ ტერიტორიებს ყველაზე ეფექტურად საკაუღური პოლკები აკონტროლებდნენ. კავალერისტების უბირატესობა ის იყო, რომ შეეძლოთ სწრაფად მისულიყვნენ საჭირო ადგილზე მიმხედრო ოპერაციის ჩასატარებლად. ფორტირის ფორტების დიდ ნაწილში სწორედ საკაუღური პოლკები, იგვე საკაუღური ფორტები იყვნენ დისლოცირებული. ზოგჯერ ფორტი დიპლომატიური შეხვედრების ადგილიც იყო. ინდიელ-

ლებსა და ამერიკელებს შორის არაერთი ხელშეკრულება ფორტის ტერიტორიაზე იდებოდა. ცალკეული ფორტი საუჭრო ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა. მშეიდობიანი ინდიელები საუჭროდ ფორტებს ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში აშშ-ის დასავლეთში ტრანსკონტინენტური რკინიგზის რამდენიმე ხაზის მშენებლობა მიმდინარეობდა. რკინიგზამ გადაკვეთა მთელი „ველური დასავლეთი“ და ერთმანეთთან დააკავშირა ქვეყნის წყნარი ოკეანისა და ატლანტის ოკეანის სანაპიროები.

რკინიგზამ ბუენიეს, ქროუს, არაპახოს, სნეიკის, სიუს, შაინენის ინდიელთა ტერიტორიებზე გაიარა, რის გამოც მშენებლობის პროცესში პრო-

1867 წელს, უაიომინგში ფორტ ფოლკერისთან კაპიტანმა ჯეიმს ფაუელმა 31 კაცით გმირულად მოიგვრია დაახლოებით 800-მდე სუს ინდიელთა თავდასხმა ბელად რედ კლაუდის მეთაურობით

ლემად იქცა ინდიელთა თავდასხმები ინჟინრებსა და მუშებზე. რკინიგზის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ უფრო გახშირდა ინდიელთა თავდასხმები მატარებლებსა და სადგურებზე.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად 1866 წლიდან ხელისუფლებამ ნებრასკაში, ვაიომინგსა და კოლორადოში რკინიგზის ხაზების გასწვრივ სამხედრო ფორტების მშენებლობა დაიწყო. ფორტების მშენებლობამ ნაიფი გამოიღო, თუქცა ცალკეული ტომები არ გვეუბოდნენ არსებულ ვითარებას და რკინიგზის ხაზების ირვკვლვ საბრძოლო ოპერაციები 60-იან წლებში არ წყდებოდა. ფორტების მშენებლობის გამო ფედერალებსა და ინდიელებს (სიუ და შაინენები) შორის ყველაზე მძაფრი კონფლიქტი ვაიომინგსა და მანტანაში 1866-1868 წლებში იყო.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გენერალ უილიამ შერმანის გკმის მიხედვით დაიწყო ფორტირის ფორტების საერთო-სტანდარტული გკმის მიხედვით რეკონსტრუქცია. ინდიელთა ომების შემცირებასთან ერთად ფორტების რაოდენობაც მცირდებოდა. 1891 წლისთვის დასავლეთის III ფორტიდან მხოლოდ 62 მოქმედებდა. შერმანის გკმის მიხედვით კი ამერიკულ ფორტებს უკვე საერთო ღიზანი ჰქონდათ

ბიხილ ბარნოვი

კაუღური ტოვებს ტექსასის შტატში ფორტ მესონს, რომელიც დაარსდა, 1851 წელს. სამხრეთის დაბლობებზე ინდიელთა ომების პერიოდში ფორტი მესონი აშშ-ს კომანდთან, ეპანებთან და ქაიოუებთან ბრძოლის წინა ხაზზე აღმოჩნდა





HELI-EXPO-2012

11 თებერვალს აშშ-ის ქალაქ და-ლასში საერთაშორისო საჰაეროფრენო გამოფენა HELI-EXPO გაიხსნა. გამოფენა დასაბამს 1973 წლიდან იღებს. მაშინ აშშ-ის უმსხვილესი შვეულმფრენმშენებელი კომპანიების პატრონაჟით პირველი ექსპოზიცია გაიმართა. მალე გამოფენამ რეგულარული ხასიათი მიიღო და მას შემდეგ ყოველწლიურად აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში ტარდება.

HELI-EXPO მსოფლიოში შვეულმფრენთა უმსხვილესი გამოფენაა (მისი ორგანიზატორი საერთაშორისო საჰაეროფრენო ასოციაციაა), სადაც შესაბამისი პროფილის პრაქტიკულად ყველა ფირმა მონაწილეობს.


2010 წელს გამოფენაში 500-ზე მეტი სხვადასხვა კომპანია და ფირმა მონაწილეობდა, ხოლო 2011-ში მათმა რიცხვმა 600-ს გადააჭარბა.

გამოფენის სტატუსიდან გამომდინარე, მსოფლიოს წამყვანი საჰაეროფრენო ფირმები ცდილობენ, თავიანთი ახალი ტექნიკისა და ტექნიკური ინოვაციების პრეზენტაცია სწორედ ამ გამოფენაზე მოაწიონ.

მსგავსი შემთხვევების ნაკლებობით არც წლევანდელი გამოფენა გამოირჩეოდა. ზალცბურგიდან კომპანია Helios Hubchrauber GmbH-მა სრულიად ახალი შხიდი ხრახნის ნიმუშის ბოლოვანა წარმოადგინა. მწარმოებლების



სერტიფიკატის მიღების შემდეგ, პირველი AW609 დამკვეთს 2016 წელს გადაეცემა



X-2-ის სამხედრო ვარიანტს, „სიკორსკი აქტიურ“ რეკლამას უწევს

მტკიცებით, ინოვაცია ხმაურის შემცირებასთან ერთად შვეულმფრენის საფრენოსნო მახასიათებლებსაც გაზრდის. კომპანია ამ გამოკონებაზე 1995 წლიდან მუშაობს. იდგის თანახმად, ნიმუშის ბოლოზე წარმოქმნილი შუბლა წინაღობის შემცირება პაერის ნაკადის დაყოფის გზით არის გადაწყვეტილი.

მიუნხენის უნივერსიტეტის აეროდინამიკურ მილში გამოცდის გარდა,

შვეულმფრენის ნიმუშის ბოლოვანებო რეალურ აპარატ MD500-ზე გამოიცადა. შედეგების თანახმად, ახალმა ბოლოვანამ ხმაური 25%-ით, ხოლო საჭირო სიმძლავრის ოდენობა კი 20-30%-ით შეამცირა.

ჯერჯერობით გამოგონება ექსპე-



**„ვეროკოპტერის“
ინჟინერებს მომავლის
შვეულმფრენი ასე წარმოუდგენიათ**

რომენტულია და მის მასობრივად გამოყენებამდე შორს არის. გამოირჩეული არ არის, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი ბოლოვანებით აღჭურვილი შვეულმფრენების ექსპლუატაცია ჩვეული საქმე გახდეს.

კიდევ ერთი სიახლე ამერიკულმა კომპანია Bell-მა წარმოადგინა და გამოფენაზე ახალი სამოქალაქო შვეულმფრენის Bell 525-ის პრეზენტაცია შედგა. შვეულმფრენი საშუალო ტვირთმეურის საფრენ აპარატზე კლასს განეკუთვნება და ბორტზე მაღალი კომფორტულობის სალონში 16 მგზავრის ავგანა შეუძლია. შვეულმფრენი პრაქტიკულად სრულად კომპოზიციური მასალებისგანაა დაზნადებული. ისევე როგორც მისი შვიდი ზრახნის ნაწილები, მწარმოებლების აზრით, Bell 525-ის გამოყენება ასევე სამხედრო-სამაშველო სამუშაოებშიც შეიძლება.

წლევანდელი HELI-EXPO-ის ერთერთი მთავარი სიახლე კონვენციონებისათვის დაკუმირებული, გამოფენის პირველივე დღეს ცნობილი გახდა, რომ მწარმოებლები AW609-ის სერტიფიცირებას აპირებენ. თავის დროზე ამ საფრენ აპარატზე ამერიკული Bell-ი და იტალიური Agusta ერთად მუშაობდნენ, მაგრამ 2011 წელს იტალიელებმა ამერიკელების წილი სრულად გამოიყენეს და კონვენციონალის ნიშნული BA609-დან AW609-ზე შეიცვალა.

რის ამ სექტორზე უფროს მოკიდებას მაქსიმალურად ცდილობენ. გამოფენაზე ცნობილი გახდა, რომ ულანულეს საუბაიციო ქარხანა საკუთარი რესურსებით ახალ მოდიფიკაციას Mi-171A2-ს შექმნის.

მოდერნიზებული შვეულმფრენზე ახალი მრავეტი, კომპოზიციური მასალებისგან დაზნადებული შვიდი ზრახნის ნაწილები, გადლიერებული ტრანსმისია, X-ები კულის ზრახნი და კიდევ მრავალი სხვა სიახლე ექნება გამოყენებული. ცვლილებები შეეხება ეკიპაჟის კაბინასაც, სადაც მოწყობილობათა დაფა მხოლოდ თხევადკრისტალური დისპლეებით აღიჭურვება.

სულ შვეულმფრენის კონსტრუქციაში 80-ზე მეტი სიახლეა, რომლებმაც შვეულმფრენის საფრენისონო მახასიათებლები უნდა გააუმჯობესოს და საქსპლუატაციო ხარჯები უნდა შეამციროს. ახალი Mi-171A2-ის სერტიფიცირება 2013 წლისთვის უნდა დასრულდეს და 2014 წელს კი სერიული წარმოება დაიწყება.

14 თებერვალს HELI-EXPO-2012 დაიხურა. წლევანდელი გამოფენა რეკორდული იყო, ოთხ დღეში მას 19,239 კაცი ეწვია. გამოფენაში მონაწილეობდა მსოფლიოს 650-ზე მეტი კომპანია. წარმოდგენილი 60 შვეულმფრენიდან 40-ზე მეტის ხილვა საპავრო ჩვენებებზე შეიძლებოდა.

გამოფენა გაყიდვებითაც შთამბეჭდვითაა. ევროპულმა ფირმა Eurocopter-მა 20 წლის ოუბლე სათანადოდ აღნიშნა, — ახალი EC130T2-ის პრეზენტაციის გაყდა, კომპანამ 191 შვეულმფრენი გაყდა.

ალექსანდრა ავსაძიძე

კომპანია განაგრძობს კონვენციონალის პროტოტიპების საფრენისონო გამოცდას და პარალელურად კი აშშ-სა და იტალიაში საგამოცდო ინფრასტრუქტურას აშენებს.

გვერდით სასერტიფიკაციო გამოცდის დასაწყებად 2013 წელი იფეგმება, ხოლო საფრენისონო ვარჯისაზნობის სერტიფიკატის მიღებას კი მწარმოებლები 2016 წლისთვის აპირებენ.

13.4 მ სიგრძის კონვენციონალის მაქსიმალური 509 კმ/სი-ში სიჩქარით დაფრინავს. ეკიპაჟი ორ კაცს ითვლის და ბორტზე 6-9 მგზავრის ან 2500 კმ-მდე ტვირთის მიღება შეუძლია. თანდათან მწარმოებლები მისი ფრენის მანძილის გაზრდას 580 კმ-მდე გეგმავენ.

ამჟამად კომპანიას შეეკეთა 40 დამაკვირისგან 70 კონვენციონალზე აქვს მიღებული. AW609-ის ორივე პროტოტიპს ჯამში 650 სთ აქვს ნაფრენი. საფრენისონო გამოცდა კი 85%-ით დასრულებულია.

სიახლე გამოფენაზე რუსებმაც წარმოადგინეს. ბოლი რამდენიმე წელია სამოქალაქო კომპლექტაციაში აწყობილი Mi-171-ის ტიპის შვეულმფრენები მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. შესაბამისად, რუსები ბაზ-

წლევანდელი გამოფენის კიდევ ერთი სიახლე — „სიკორსის“ S-76D



რა შეუძლია ირანის ავიაციას



12 ათასი საჰაერო თავდაცვის სისტემაში). ფუნქციონირებდა 12 საჰაერო ბაზა, ხოლო შტატით ირიცხებოდა 25 საბრძოლო, 12 სატრანსპორტო და 2 საშველუმფერენო ესკადრიალია.

სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში იყო 336 საბრძოლო თვითმფრინავი და არც ერთი დამრტყმელი შეუღუმფერნი (აქ აუცილებლად აღსანიშნავია, რომ 50-მდე ირანული საბრძოლო შეუღუმფერნი AH-1J Cobra სახმელეთო ჯარების შტატშია და არა საჰაერო ძალების).

თვითმფრინავების შემადგენლობა ასეთია: 44 ცალი F-14, 35 MiG-29, 10 Mirage-F.1, 20 F-5B, 24 F-7M, 13 Cy-25, 30 Cy-24MK, 65 F-4, 60 F-5, 6 RF-4E, 3 Boeing-707, Boeing-727, Boing-747F, 19 C-130, 3P-3F, 10 F-27, ასევე სხვა სატრანსპორტო და დამხმარე თვითმფრინავები.

შველუმფერნების პარკში შედის: 30 Bell214C, 2 Bell206, 2CH-47, CH-53 და სხვა ტიპის საფრენი აპარატები.

შეიხველი, ალბათ, ვურადღებებს მიაქცევდა, რომ ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ძირითადად ამერიკული წარმოების თვითმფრინავები და შეუღუმფერნებია, რაც გასაკვირი არ არის, რადგან ირანის შპაი 1979 წლის ისლამურ რევოლუციამდე უახლეს ამერიკულ შეიარაღებას ყიდულობდა.



რას წარმოადგენს დღეს ირანის შეიარაღებული ძალები და შესწევთ თუ არა უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ ისრაელსა და აშშ-ს?

პატრეისცემით აღექვსანდრე ჩახვაშვილი, თბილისი

„არსენალის“ გასულ ნომრებში ვწერდით ირანის ბალისტიკურ რაკეტებსა და საჰაერო თავდაცვის ძალებზე. უურნალის მომავალ ნომრებში შემოგთავაზებთ სტატიებს ირანის სახმელეთო ჯარებისა და საზღვაო ფლოტის შესაძლებლობებზე. ამ სტატიაში კი ვურადღებთ ირანის ავიაციაზე შეჩვენებთ.

ირანი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ჩაკტილი ქვეყანაა. ის არ მონაწილეობს შეიარაღების კონტროლის საერთაშორისო პროგრამებში და ამიტომაც ამომწურავი ინფორმაცია ირანის შეიარაღებული ძალების შესახებ არათუ მასშტაბში ქვეყნდება, მას ისრაელისა და აშშ-ის დაზვერვებაც სრულად ვერ ფლობენ.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის სამხედრო ანალიტიკოსებს მაინც მოეპოვებათ მიახლოებითი მონაცემები ირანის არმიის შესახებ. თუკი მათ დაუკუკრებთ, 2011 წელს ირანის სამხედრო-საჰაერო ძალებში დაახლოებით 30 ათასი კაცი მსახურობდა (მათგან

ირანული მფრინავები საბრძოლველად არიან განწყობილი...





ირანის ძირითადი სამხედრო-საჰაერო ბაზები. მათგან საქართველოსთან ყველაზე ახლოს თეირანის აეროდრომი, საიდანაც პირდაპირი ზაზით თბილისამდე 415 კმ-ია

უფრო გასაკვირი ის არის, რომ ირანელი სპეციალისტები ძალ-ღონეს არ იშურებენ და ეს ამერიკული სამხედრო ტექნიკა საბრძოლო მზადყოფნაში ჰყვით არადა, ამ „ტომკეტებმა“, „ტაიგერებმა“ თუ „ჩინუკებმა“ 1980-1988 წლის ირან-ერაყის ომზე გამოიარეს და არც ამერიკიდან მარაგდებიან სათადარიგო ნაწილებით.

F-14 Tomcat-ი აშშ-ის სამხედრო-

სამხედრო ძალებმა 2006 წელს მოხსნა თავისი შეიარაღებდან და დღეს ირანი ერთადერთი ქვეყანაა, ვის შეიარაღებაშიც ის არის.

ირანის შპშმა „ტომკეტები“ აშშ-ს 1974 წელს დაუკვეთა, სწორედ მაშინ, როდესაც ისინი პირველად გამოიჩინდნენ ჩრდილო ამერიკის ცაში. კონტრაქტით ამერიკელებს თეირანისთვის 80 „ტომკეტი“ უნდა მიწოდებინათ, რეალურად

კი ერთით ნაკლები მისცეს. მოსმად 120 ეკიპაჟი და ტექნიკური პერსონალი.

ირანი საჰაერო აღლუმებისა და სწავლებების დროს ისევ აჩვენებს „ტომკეტებს“, რაც მათი ბრძოლისუნარიანობას შენარჩუნების მაჩვენებელია. „ტომკეტების“ ყველაზე ეფექტური იარაღი „ჰაერი-ჰაერი“ კლასის AIM-54 Phoenix-ის ტიპის მართვადი რაკეტაა, რომელსაც საჰაერო სამიზნის განადგურება მაქსიმალურ 184 კმ-ზე შეუძლია. ირან-ერაყის ომის დროს ირანულმა „ტომკეტებმა“ სწორედ ამერიკული „ფენიქსების“ საშუალებით

ირანული „კობრა“ მოწინააღმდეგე სარაკეტო დარტყმას აეწიებს



ორადგილიანი F-5B „ტაიგერებს“ თეირანი პილოტების მოსამზადებლად იყენებს





ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების ამერიკული F-14 „ატომკეტი“

25 ირანული თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

თუკი „ფენიქსები“ კიდევ დარჩათ ირანელებს და ისინი საბრძოლო მზადყოფნაშია, მაშინ ისრაელისა და აშშ-ის დამრტყმელი ავიაცია უნდა უფრო ხოლმე ამ შორისმოქმედ მართვად რაკეტებს.

ირანული გამანადგურებლების მეორე ტიპი, რომლისთვისაც ანგარიში გაწევა აუცილებლად მოუწევთ ისრაელსა და აშშ-ის პილოტებს, საბჭოთა წარმოების მიგ-29-აა.

1991 წელს სპარსეთის ყურის ომის დროს ერაყელმა პილოტებმა გუშინდელ მოწინააღმდეგესთან (ირან-ერაყის ომი სულ სამი წლის დამთავრებული იყო) რამდენიმე ათეული საბრძოლო თვითმფრინავი (მათ შორის მიგ-29-ები, ცუ-24-ები და ცუ-25-ები) გადააფრინეს, რითაც ისინი (და თავისი თავიც) ამერიკული წერტილოვანი საჰაერო დარტყმებისგან გადაარჩინეს.

ირანმა ერაყს ეს თვითმფრინავები აღარ დაუბრუნა (ომში მიღებული ზარალის კომპენსაციის საბაბით). ასე აღმოჩნდა რამდენიმე იმ დროისთვის თანამედროვე მიგ-29 ტიპის გამანადგურებელი ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში, შემდგომ წლებში თეირანმა მოსკოვისგან დამატებით 17-მდე ასეთვე გამანადგურებელი შეიძინა და მათი რიცხვი 35-მდე გაზარდა.

მიგ-29-ის ყველა ძლიერ იარაღს „ჰაერი-ჰაერი“ კლასის P-27 ტიპის მართვად რაკეტა წარმოადგენს, რომლის სროლის სიშორე 50-90 კმ-ს შეადგენს (მოდიფიკაციებით გამოიღონარე), რაც უკვე სახიფათო გახდება ირანის საჰაერო სივრცეში შეჭრილი



ირანული „ატომკეტების“ მფრინავები ამერიკელებმა გაწვრთნეს



„ჰაერი-ჰაერი“ კლასის „ფენიქსი“ ტიპის რაკეტა საჰაერო მიზანს მაქსიმალურ 184 კმ-ში აზიანებს



F-4 „ფანტომი“ მარტვალა ეიტენამის ომიან ასოცირდება, მაგრამ თერანი მათ გამოყენებაზე უარს არ იტყვის

უცხო ქვეყნების დამრტყმელი თვით-მფრინავებისთვის.

მიგ-29-ის შეიარაღებაშია შედარებით ახლო მანძილზე (20-40 კმ) მოქმედი სითბური დამინების P-73 ტიპის რაკეტებიც, რომლებიც ეფექტურია საჰაერო ბრძოლების დროს.

ამერიკა-ისრაელის დამრტყმელი ავიაციის წინააღმდეგ ირანს F-4 Phantom II-ი ტიპის მოძველებული გამანადგურებლების გამოყენებაც შეუძლია. იგი ირანის უსწრაფესი საბრძოლო თვითმფრინავია (მაქსიმალური სიჩქარე 2586 კმ/სთ), თუმცა მანევრულობით ჩამოუვარდება მიგ-29-ს.

ირანელი პილოტების განკარგულებაშია ამერიკული F-5 Taiger II-ი და მის ბაზაზე დამზადებული ირანული Saegheh-ები (მას F/A-18-ითი ორი ვერტიკალური კილი დაუყენეს), თუმ-

ცა მათი საბრძოლო შესაძლებლობები საჰაერო ბრძოლების საწარმოებლად ძალზე შეზღუდულია.

საპასუხო საჰაერო დარტყმების მისაყენებლად ირანის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია 30 ცალი საფრონტო ბომბდამშენი Cy-24MK და 13 მიოერაში Cy-25K.

ყველა ერთადგილიანი Cy-25K თბილისის საავიაციო ქარხანაშია აწეობილი. მათი საბრძოლო მოქმედების მცირე რადიუსი ირანელებს საშუალებას არ მისცემს თბილისში აწეობილი მოიერიშებით დაბომბონ ისრაელი, თუმცა სპარსეთისა და ომანის ყურეებში, ასევე ორპუზის სრუტეში, ამერიკულ სამხედრო ხომალდებზე იერიშის მიტანა შეუძლებელია. ამერიკული სახომალდე საჰაერო თავდაცვის სისტემების მაღალი შესაძლებლობების გათვალისწინებით

ირანული Cy-25K-ების პილოტებს განდარჩენის დიდი შანსი არ ექნებათ.

Cy-24MK ტიპის საფრონტო ბომბდამშენების საბრძოლო შესაძლებლობები ბევრად სახიფათოა ირანის მარცხნააღმდეგეებისათვის. ეს ბომბდამშენი ზღვის დონეზე ზეზგერით 1400 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და მისი საბრძოლო მოქმედების რადიუსი დამატებითი ავზებით 1250 კმ-ს შეადგენს. მართალია, ეს მანძილი საკმარისია ირანიდან ისრაელამდე მისაღწევად და უკან დასაბრუნებლად, მაგრამ ისრაელის საჰაერო სფეროებზე მიფრენას უმოკლესი მარშრუტით ერთ საათამდე მანძილს ჭირდება, რაც საკმარისი აღმოჩნდება ირანული ბომბდამშენების აღმოსაქენად ამერიკული და ისრაელის მძლავრი რადიოლოკაციური სადგურების მიერ. თუკი ირანული Cy-24MK-ები გამოი-



საფრონტო ბომბდამშენებით Cy-24MK-ებით ირანელ პილოტებს ისრაელის დაბომბვა შეუძლიათ

საჰაერო ტანკრების გამოყენება ირანული საბრძოლო თვითმფრინავების შესაძლებლობებს გაზრდის



ყენებენ რელიეფის მიყოლებით ფრენის ავტომატურ სისტემას (სხვათა შორის, ამ სისტემას საბჭოთა პერიოდში კოპიტანარის აეროდრომზე ბაზირებული Cy-24M-ების ეკიპაჟები საქართველოსა და აზერბაიჯანის მიუბში ხეწდნენ) და ძალიან დაბალ სიმაღლეზე იფრენენ, საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულების შანსი მოიმატებს.

თუკი ირანში საბრძოლო მოქმედებები მაინც დაიწყო, აშშ და ისრაელი შეეცდებიან უპირველესად მწეობრივად გამოიყენონ ირანის საჰაერო თვდაცვისა და მართვის პუნქტები, რაც გააძელებს ან საერთოდ შეუძლებელს გახდის ირანის გამანადგურებლების მართვას მწიფად და შესაბამისად არაეფექტური გახდება ირანული პილოტების მოქმედება.

ირაკლი ალადაშვილი

მიგ-29-ები ირანის ვეფლზე თანამედროვე გამანადგურებლებია, თუმცა ამერიკელ პილოტებს მათთან ეფექტური ბრძოლა უკვე ნასწავლი აქვთ



შირაზის აეროდრომიდან (კოსმოსიდან გადაღებულ სურათზე ჩანს ამ აეროდრომზე განთავსებული Cy-25K-ები) სპარსეთის ყურემდე პირდაპირი ხაზით მხოლოდ 170 კმ-ია, რაც ირანულ Cy-25K ტიპის მოიერიშებს საშუალებას აძლევს იერიში მიიტანონ ამ ყურეში მოდრეიფე ამერიკულ სამხედრო ხომალდებზე



შარლ დიდი

742-814



ქრონოლოგია

- * 742 — დაიბადა 2 აპრილს, აახენში.
- * 768 — ფრანკთა საბრძანებელს უფროს მშისთან ერთად მართავს.
- * 771 — მისი გარდაცვალების გამო ერთპიროვნული მმართველი გახდა.
- * 774 — შეიჭრა ლომბარდიაში.
- * 775-777 — დაიმორჩილა საქსონია.
- * 778 — ალფში მოაქცია სარაგოსა.
- * 788 — აიღო ბაერია, დასჭრობის უნგრეთს და ავსტრიაში.
- * 800 — რომში იმპერატორად გამოცხადდა.
- * 804 — საბოლოოდ ჩაახშო საქსონიის წინააღმდეგობა.
- * 814 — გარდაიცვალა აახენში, 24 იანვარს.

ყავაჭვილობიდანამო ომები

დაიბადა 742 წლის 2 აპრილს, აახენში (თანამედროვე გერმანია). მამამისი პიპინ მოკლე, მამის, შარლ მარტელის დანატოვარის — ფრანკთა იმპერიის აღდგენისთვის იბრძოდა. ახალგაზრდა შარლემანი მამამისს არაერთხელ ზღვებია ლომბარდიას და აკვიტანიაში სალაშქროდ. როდესაც პიპინი გარდაიცვალა, სამეფო ორ გაუს, კარლომანსა და უმცროს შარლს დაუტოვა. 771 წელს კარლომანიც გარდაიცვალა, შარლმა მძისწულებს უფლებები აართვა და სამეფო გააერთიანა.

კარლომანის ქვრივი ლომბარდიაში, მეფე დესიდერუსთან გაიქცა. მართალია, დესიდერუსი შარლემანის ხამამრი იყო, მაგრამ კარლომანის გაყვებს

შარლ დიდი ფრანკთა მეფე იყო. თავისი სამხედრო კამპანიებით, რამაც ოთხი დეკადა მოიცვა, მისი სამფლობელოები სრულიად დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას გადასწვდა, საბოლოოდ კი საღვთო რომის იმპერიის იმპერატორად გამოცხადდა.

დაუჭირა მხარი. ამიტომ შარლემანს ლომბარდიაში მოუწია დაშპრობამ.

შემდეგ წარმართი საქსონები დალაშქრა. 777 წელს პადერბორნში მყოფი ჩრდილოეთ ესპანეთში აჯანყებულ არაბებს შეხვდა, რომლებიც კორდოვას ამირათი იყვნენ უკმაყოფილო.

778 წლის ზაფხულში ამბოხებულთა დასახმარებლად სარაგოსას შემოქმედით უარი. ქალაქი ვერ აიღო, ამიტომ

ჯარი უკან, პირენეებისკენ დახია, თან გზად შეეყრილ ბასკეთთანაც მოუხდა შებრძოლება.

შარლემანი ისევე საქსონთა წინააღმდეგ შეუდგა დალაშქრობას. 778 წელს თავისი ბიძაშვილი ტასილონ III ბაგარიელი განდევნა და მისი ქვეყანაც შეიერთა. სხვა გერმანული ტომების დამორჩილებისთანავე უნგრეთს, ავსტრიასა და ბოსნიას შეესია.

შარლ დიდის ჯარები წმინდა ქალაქ რომს უტყვენ



შარლემანის ჯარი

შარლემანის ჯარი მეტწილად შედგებოდა შუბებითა და ნახაჩებით აღჭურვილი ფეხოსნებისგან, რომელთაც ტყეების პერანგები ეცვათ და ფარებს ატარებდნენ. გარდა ამისა, მას კავალერიაც ჰყავდა გრძელ ხმლებთან შეიარაღებული — შუა საუკუნეების რაინდთა წინამორბედები — რომელთაც მტრის მოგერიება ევალებოდათ, ხანაც ფეხოსნები ჩაერთებოდნენ ბრძოლაში. შარლემანი ბრძოლებში იშვიათად მიმართავდა მანევრებს. ის კარგად გაწვრივნილ შერიგებებსა და მსტორებს იყენებდა გამარჯვების მოსაპოვებლად. ჯარში უმრავლესობა ან გლეხობა, ან ქალაქელი მუშები იყვნენ. მათ გაზაფხულიდან შემოდგომამდე უწევდათ სამხედრო სამსახურში ყოფნა. ჯარისკაცებს ფულს არ უხდიდნენ, იარაღი და აღჭურვილობაც თვითონვე უნდა ეზიდათ. გასამრჯელოს ნატურით იღებდნენ, როდესაც გამარჯვებდნენ და ალფად საქონელს მიერებოდნენ, მათაც ხელებდათ წილი. ნაძარცვი იყო მათი ერთადერთი გასამრჯელო.

800 წლის აპრილში დევნილმა რომის პაპმა ლეო III-მ თავშესაფარი სოხოვა შარლემანს. იმავე წლის ნოემბერში შარლემანმა რომზე გაილაშქრა და პაპის ხელისუფლება ადადგინა. დაბრუნების შემდგომ ლეო III-მ შარლემანს საღვთო რომის იმპერატორობა უბოძა. ამას ბევრი ცუდდ შეჰგდა. შარლემანი წმინდა პეტრეს ბაზილიკაში გაყის მფედ კურთხევის ცერემონიას ესწრებოდა, როდესაც რომის პაპმა იგი „აგუგუსტუსად და იმპერატორად“ გამოაცხადა. შარლემანს აღმოსავლეთ იმპერიის მხარდაჭერაც სჭირებოდა ტახტის განსამტკიცებლად. მან კონსტანტინოპოლის მმართველ იმპერატორიცა ბიზანტიის სოხოვა ხელი, მაგარი დასავლეთისა და აღმოსავლეთ იმპერიების შერეობა მინც ვერ მოახერხა, რადგან ბიზანტი 802 წელს ბაზილიკეს ტახტიდან. 812 წელს ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ I-მა შარლემანის ტიტული აღიარა, თუმცა, აღმოსავლეთის იმპერატორები ისევ განაგრძობდნენ მტკიცებას, რომ რომის კეისრებს ჭეშმარიტი მემკვიდრეები თვითონ იყვნენ.

ამის შემდეგ შარლემანმა სამფლობელითა გაფართოება შეწყვიტა და სახლრების გამაგრებაზე, კანონმდებლობის გაუმჯობესებაზე, წიგნების გამრავლებაზე და განათლების გავრცელებაზე დაიწყო ზრუნვა. ლათინურ ენას უპირატესი უფლება დაუმიკვიდრა და წაახალისა.

ქრისტიანი „ისპორიანი“ წარმოვიღებთ!



შარლ დიდი პლევრიტიმ გარდაიცვალა 814 წლის 24 იანვარს. მისი ბალზამირებული ცხედარი აახუნთან დაკრძალეს. შარლ დიდის გარდაცვალებიდან კიდევ ოცდაათ წელს იარსება მისმა იმპერიამ, რომელიც გერმანული, რომული და ქრისტიანული კულტურების ნახაი იყო და თანამედროვე ევროპულ კულტურას დაულო სათვე.

საქსონთა მოქმევა

* სამფლობელოების გაფართოებასთან ერთად შარლემანმა ცენტრალური ევროპის წარმართებში ქრისტიანული რჯული შეიტანა. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა საქსონებისგან შეეგდა. 772 წლიდან 804 წლის ჩათვლით მათ სრულ დამორჩილებამდე, შარლ დიდმა საქსონები თვრამეტჯერ დალაშქრა. მან 775-777 წლებში მასობრივი ნათ-

ლობა ჩაატარა, სადაც საქსონებს ორი არჩეული ჰქონდათ — ან გაქრისტიანება, ან სიკვდილი. 782 წელს შარლ დიდმა 4500 კრძაიყენისმცემელი შუქურსა მასობრივი ეგზეკუციის დროს. საქსონიისა და ეგსტფალის მოსახლეობის შესამედ მაინც შექწირა მის ხმალს. * 800 წლის შობადღეს, როდესაც შარლემანმა რომის წმინდა პეტრეს ბაზილიკაში მუხლი მოიყარა, რომის პაპმა ლეო III-მ მას აღდგენილი საღვთო რომის იმპერიის გვირგვინი დაადა თავზე. ბიზანტია საბრძოლველად მოემუხადა, მაგრამ შარლ დიდმა მოლაპარაკება წამოიწყო და 812 წელს მიხეილ I-მა შარლემანი დასავლეთის იმპერატორად ცნო.

მოაზნადა
ლეონ ინასარიძე

უფინადო რაი



ქორეის ომის პირობა (1950-1953 წ.წ.)

ხე გზას უკეტვდა. დანარჩენები ძალების მასივებით ფრონტიდან და ფლანგებიდან შუიანხმეულად უტყდნენ.

ამ დროს განადგურების შემდეგ ჩინელები მომდევნო ქვედანაყოფის გამომკვლავებული ფლანგისკენ ინაცვლებდნენ და შეტევას იმეორებდნენ.

1951 წლისთვის კორეის ომში ფრონტის სტაბილიზება მოხერხდა და საბრძოლო მოქმედებებმა უმეტესად გამოფრთხილეს ორიენტირებული ფრონა მიდევნი. ორივე მხარე ლიმიტირებული შეტევით მოქმედებებით ერთმანეთისთვის ცოცხალი ძალებისა და საბრძოლო ტექნიკის მაქსიმალური ზარალის მიყენებას ცდილობდა.

ამ პერიოდისთვის აშშ-ისა და გაეროს ძალების უმეტესობა მე-2 მსოფლიო ომისდროინდელი დოქტრინის მცირედ მოდიფიცირებული კარიანტის იყენებდა რიოც საკუთარი დანაკარგის შეზღუდვასა და მორინააბმდეგულ საცეცხლე შემოქმედების გაზრდას ცდილობდა.

როგორც კი ცნობილი გახდებოდა მოქმედების ძალების თამოყროსა და შეტევით გადმოსვლის შესახებ ინფორმაცია, აშშ-ისა და გაეროს ძალების არტილერია მამხმე მორინავე თაღაცკითა პოზიციების გარშემო ნალისებური ფორმის გადამბოც ცეცხლს ხსნიდა.

ამ შთოდს „ელვისებური ცეცხლი“ ქროდებოდა და მისი საშუალებით რაიონის მორინააბმდეგვის ძალების გასაძლიერებელი საშუალებებიდან იზოლირება ხდებოდა. მის მორინავე ძალებს მტორე ქმულირებოდან კეცოდა; საჭროების შემთხვევაში ანაოფოდა ბრძოლის რაიონს, რაც დამცველებს ღამით დამბონებით ცეცხლის გასხნაში კმარებოდა;

„ნალისებური“ აფეთქების ცეცხლით „მოკვითალი“ მორინააბმდეგვის განადგურება დამცველებსთვის მწელი აღარ იყო. მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი შტაბით გათავისსწინებულზე

კორეაში საბოლოოდ დასრულდა აშშ-ის შთარდადებულ ძალებში არსებული რასობრივი სფერეკაცია, თუკი ომის საწყის პერიოდში ვერ კიდევ განხედებოდა ნაწილობრივ მხოლოდ შუაკავანდობისთვის, ომის ბოლისთვის ისინიც გაუქმდა. უკანასკნელი იყო 24-ე შუაკანაანთა ქვეითი პოლკი, რომელიც 1951 წლის 1-ელ ოქტომბერს დაიშალა.

ომი უფინადო – კორეის ომის ქრობები (1950-1953 წწ.)

„ჩვენ ვიბოძი კორეაში მხოლოდ იბოტომ, რომ არ მოგვიციონოს ბრძოლამ უჩინტში, ჩიკაგოში, ახალ ოლგანას თუ სან-ფრანცისკოს ვერეში“.

აშშ-ის პრეზიდენტი პარი ტრუმენი, 1952 წ.

დასარული. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N4, 2012 წელი

1950 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩინეთის კომუნისტურ ძალებთან ბრძოლა დეტალურად მომზადებული კი არა, შემხედრე ბრძოლების სერია იყო, სადაც ორივე მხარე წინსვლისთვის ერთდროულად ერთი და იმავე გზებისა და ხეობების გამოყენებას ცდილობდა.

1950 წლის მიწურულისთვის ამერიკული შენაკორების საორგანიზაციონალური სტრუქტურები შუიროს, რამაც საშუალება მისცათ გაეკონტროლებინათ ჩრდილოეთ კორეის იმევაით საკომუნიკაციო სისტემები.

ამ გარემოებათა მიუხედავად, ჩინელთა შდარბოით მსუბუქად აღჭურვებით ძალები ოსტატურად იყენებდნენ ტუიან რაიონებსა და დასახლებულ პუნქტებს საპაერო დაზერევისგან დასაბაღედავად, მიდიოდნენ მხოლოდ ღამით და დიდ კოლირებდნენ.

ჩინელ მებრძოლთა უმეტესობა აბოინელებსა და ჩინელ ნაციონალისტებთან პარტიზანული ომის უტყვრანი იყო და ბეული გამოცდილებისამებრ თაღაცკით

პოზიციებს შორის „გაფინგას“ და მოუღინდელი მიმართულებიდან თაღანსხნას ცდილობდნენ.

თუკი მოულოდნელობის ეფექტს ვერ მიადრეფდნენ, მამინ შეტევა ვიქურად, „ხალხის ტალღების“ გამოყენებით იწყე-

პაერში ბატონობისთვის ბრძოლა თვითმფრინავებთან ერთად ხმელთაშუაზ მიმდინარებოდა – ჩინეთში დააკეეს დიფერანსტა ვგუფო, რომელიც კორეის-თვის მფრინავთა მოსამზადებელ სასწელო ვიდაცენტრში მოქმედებდა. დეერ-სანტები ფარულად დებდნენ სასწელო რკ-17-ის ხელსაწყოების დავის უკან საბინებელი წამლის ორ აბს. სიმადლეზე წრეების ზემოქმედების შედეგად ისინი ორთქლიდებოდნენ და მფრინავს აბინებდნენ, რაც თვითმფრინავის კატასტროფას იწყედა.

ბოდა, რაც ცოცხალი ძალის მასირებასთან ერთად თაღაცკითა მყოფებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებას ახდენდა.

კორეის ომის ვეტერანი და ისტორიკოსი ალექსანდრ ბუიინი ასე აღწერს ჩინელი ზურების: „მით არ გაიანდა მიმე შეიარაბდა. უკეთ აღჭურვული ამერიკელები ჩინეთის სამოქალაქო ომისდროინდელი (1946-49წწ.) ტაქტიკით ებრძოდნენ. ჩინელები მირითად 50-200-კაციანი ვგუფებით ღამით უტყდნენ, ხოლო შეტევის ობიექტად ოცეულის ან ასეულის ღონის ყველაზე მცირერიცხოვან და სუსტ მორინააბმდეგს არეყდნენ.“

მათი ნაწილი დამცველებს უკან დასა-

გაცილებით მეტი ტყვიამფრეკვეთი იყენენ კამპიერებელი. ეს საშუალება კი ერთ კმ ფართობზე მეტი ტყვიის კონცენტრირების საშუალებას იძლეოდა. ზოგიერთ შემთხვევაში სახმელეთო სამხრეთი დასახინებლები თვითმგებელ საზენიტო საშუალებებზე მოქმედებდნენ.

ბაზიუმეზა

დესანტის მომზადების პერიოდში სამხრეთ კოალიციამ ჩრდილოეთა ყურადღება საპრობისპირო მხარეს, კუხანზე გადაიტანა და ინჩონის დასაცავად მხოლოდ მცირერიცხოვანი ძალები გამოყო.

ყო შემთხვევაში, როცა მიული სარბო კორპუსის არტილერიის ცეცხლი მხოლოდ ერთი ცალკეული თვდაცვითი პოზიციის მხარდაჭერისკენ მიმართებოდა. მაგალითად, 1953 წლის აპრილში 24 სთ-იან პერიოდში 9 საარტილერიო ბატალიონმა (162 ქვეშები) ერთი ქვეითი ასეულის მხარდასაჭერად 39.694 ჭურვი გაისტრია.

საარტილერიო ცეცხლის ეფექტურობა ჭურვების აუფეთქების შედეგ მუდგებდა, როცა საჰაერო მხარდაჭერას ირრე მხარისთვის ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა.

ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზღვაო ქვეითისთვის იყო, როგორც უფრო მსუბუქი ადჭურვალი და სახმელეთო ძალებისგან განსხვავებით არტილერიის ნაკლებ რაოდენობის მქონე დანაყოფებისთვის.

მას შემდეგ, რაც აშშ-ის საზღვაო ქვეითმა გააცნობიერეს ეს რეალობა, მათ ამ ომში საუფრელო ჩაუყარეს სახმელეთო-საჰაერო ურთიერთქმედების მყარ ტრადიციას.

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აშშ-ის მე-8 არმიის სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა ჯეიმს ვან ფლიტმა არაფორმალურად სთხოვა გაეროს შეიარაღებული ძალების სარდალს, გენერალ მარკ კლარკს მისი არმიის ყოველი კორპუსისთვის საჰაერო ძალების მოიყრისთვის ესკადრალიები გამოყოფო. მისი აზრით, ეს დახმარებოდა მფრინავებს უკეთ გაეცნო სახმელეთო ძალების მოთხოვნები, ადეკვლემბარუობის პირობები და გამოძახებულები რეაგირება უფრო სწრაფად მოქმედინაო.

მართალია, გენერალმა კლარკმა უარყო ეს თხოვნა იმ მიზეზით, რომ ეს გამოიწვევდა საჰაერო ძალების მთავარი ამოცანების შესრულებიდან მრწყვეტას. თუმცა, ახლო მხარდაჭერის საბრძოლო გაფრენების ლიმიტი მნიშვნელოვან გაზარდა, რამაც კულმინაციას 1952 წლის ოქტომბერში მიაღწია და 4500 გაფრენა შედგინა.

შედეგად, სახმელეთო და საჰაერო ძალების მთაუბრები უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, კარგად გაიცნეს ერთმანეთის საბრძოლო თუ ტექნიკური შესაძლებლობები.

მაგალითად, ქვეითებმა დაიწვეს საარტილერიო ცეცხლის წარმოება შუორენებული ამფოტექტიბი, რომლებიც მოქმედებდა მილითა უშუალოდ საჰაერო დარტყმების წინ და თვითმფრინავებს საზენიტო და ქვეითთა იარაღის კონცენტრირებული ცეცხლისგან იცავდა.

სულ ომში ამერიკელთა საჰაერო ძალებმა 836.877 თვითმფრინავ-გაფრენა შეასრულეს, ჩამოაგდეს 448.366 ტ ბომბი და 36.275.997 ლ ნაპალმი, გაუშვეს 511.329 რეაქტიული ჭურვი და 182.829.400 სხვადასხვა კალიბრის ვაზნა გახარჯეს.

კორეის ომი აღმოჩნდა ბილი კონფლიქტი, სადაც მასობრივად გამოიყენეს ზრახნიანი თვითმფრინავები, მაგრამ

ომის შემდგომ კლარკმა ჩამოაგალიტა სამხრეთკორეელთა 150-კაციანი პარტაზანული რაზმი დახვეწებისა და რეიდებისთვის მდ. იალუს რაიონში. სწორედ მან შეატყობინა სარდლობას ჩინელ სამხედროთა დიდი მასების გადაადგილების შესახებ ჩრდილოეთ კორეის მიმართულებით, თუმცა, როგორც ხშირად ხდება ზოლმე, მის მონაცემებს უყრადღებდა არ მიაკციეს. შედეგად, ჩინელთა შემოჭრა სამხრეთი კოალიციისთვის დრამატულ მოვლოდენლობად იქცა.

იმავროულად 1950 წლიდან კორეის ცაში ორჯე მზრადან რეაქტიული საფრენი აპარატები გამოჩნდნენ.

მაგრამ გაეროს საჰაერო ძალების უპირატესობამ და ამერიკული გამანად-

გურებლების უკეთესმა მანერული საბჭოელებს ცაში ბატონობის მოპოვების საშუალება არ მისცა.

აშშ-ის განცხადებით, საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ იქნა 792 მიგ-15 და კიდე 108 სხვა ტიპის თვითმფრინავი, ხოლო საკუთარმა დანაკრებმა 78 F-80 Shooting star-ი, F-84 Thunderjet-ი, F-86 Sabre და 16 B-29 შეაგინა.

საბჭოელები ამტკიცებდნენ, რომ მოწინააღმდეგის 1106 თვითმფრინავი ჩამოაგდეს და საკუთარი დანაკრები 335 მიგ-15-ით შეფასდა.

კორეის ომის შედეგების შეფასების შედეგად, აშშ-ის ომის შემდგომი სამხედრო ბიუჯეტი 50 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, შეიარაღებული ძალების რაოდენობა გაორმაგდა, ამერიკული სამხედრო ბაზების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აზიის ბევრ რეგიონში.

ომის შემდგომ აშშ-ის სარდლობამ სამხედრო სტრატეგიას გადახედა და მიიღო „დაბალანსებული ძალების“ კონცეფცია, რომელიც თვალისწინებდა ვველა სახეობის ძალების ურთიერთქმედებას და დღეისთვისაც აისახება „გაერთიანებული ოპერაციების“ სამხედრო დოქტრინაში.

კორეის ომში დაახლოებით 40 ათასამდე საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე მიიღო საბრძოლო გამოცდილება. შტაბებმა შეიტნეს ლოკალიზირ ომის პირობებში ოპერატიულ-სტრატეგიული ხელმძღვანელობის, აგრეთვე, უცხო ქვეყნების კადრების მომზადების უნარ-ჩვევები (უფროს სამხედრო-სახლავო მრწყველად მსახურობდა კონტრადმირალი სეიდ კაპანაძე).

საბრძოლო გამოცდა გაიარეს საბჭოთა ტექნიკის ცალკეულმა ნიმუშებმა და



მას შემდეგ, რაც ჩრდილოკორეელებმა გაათავიციინებინეს ინხონის დაკარგვის რეალობა, 16 სექტემბერს სასწრაფოდ გაგზავნეს T-34-ის ქვეში კოლიან დესანტის წყალში „გადღერის“ მინიბო ქვეითების გარეშე, გზატკეცილზე მიმავალი სატანკო კოლიანები ოთხი სამიწუნე გამოდგა მოკავშირეთა F4U Corsair-ებისთვის, რომლებმაც ერთი საფრენი აპარატის ფრად მიწინააღმდეგეს უმძიმესი დანაკარგი მიადგინეს და კონტრშეტევა ჩამალეს.

განსაკუთრებით რეპეტულმა თვითმფრინავებმა.

და ბოლოს, რომელი სამწვიდრო ხელშეკრულება, რამელიც ფორმალურად დაასრულდება ამ ომს, ხელმოწერილი არ არის.

ინხონის სადგანო ოპერაცია

პუანის პერტიმტრუხ სასიცოცხლო მნიშვნელობის თავდაცვითი ბრძოლების დაწყებისთანავე, სამხრეთ კოალიციის მთავარსარდალ გენერალ ლეგლას მაკარტურის ვინებებში ჩამოვიდოდა თეზე ხელდატეხილი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გარე ოპერატიული ხაზის გამოყენებით შეტყუაზე გადასული ჩრდილოკორეელი დრმა ზურგში საზღვაო დანატრის გადასხმას, მათი მომარაგების კომუნიკაციის ხაზების გადჭრას და ქალაქ სულზე შეტევას. დესანტირების რაიონად ინხონის შირტი, ხოლო მთიოდან „სღვა-ხსელი“ შირტი.

ოპერაციის მომხალეების პროცესში, გენერლის ბეერი თანამებრძოლი წარმატების შესაძლებლობას სეპტიკურად აფასებდა

და თვლიდა, რომ ეს რაიონი ძლიერი დინებების, მადლი მიძოქცივის ტალღების, სანაბრო ციკაბო ფლატეების, მისასვლელ არხს გარშემორტყმული ავილადა დასცავო ტალღატყების გამო ბუნებრივ მიუდგომილ ადგილი იყო. მათგან განსხვავებით მაკარტური სწორედ ამას ხელედა მთავრ უპირატესობას, ვინაიდან ჩრდილოკორეელ სამხედროთა შაბლონური აზროვნების და კარგად ორგანიზებული დინიფორმაციის გათვალისწინებით, მას იმედ ჰქონდა, რომ ოპერატიული და ტექნიკურ მიულოდნელობის მაიალცქედა.

საზღვაო-სადესანტო ოპერაციის დაწყებამდე 14 დღით ადრე ჩატარდა ოპერაცია „თრუდ ჯექსონი“ (Trudy Jackson). აშშ-ის ცენტრალური სადაზვერუო სააგენტოსა და სამხედრო დაზვერვის მცირე ზომის გაერთიანებული ჯგუფი ადგილობრვ მომხრეობა მზარდაჭრით ფარობდა გადავიდა ინხონიდან 10 მილის დაშორებით მისი მისასვლელის ჩამტეხ კუნძულ იონგპუნგ-დოს ჩრდილოეთ ნაწილში.

სადესანტო ოპერაციაში მონაწილე ძალები: სამხრეთი კოალიცია – 40 ათასი ქვეითი, 260 სხვადასხვა დანიშნულების მცურება საშუალება, 400 თვითმფრინავი და სხვ.
ჩრდილოეთი კორეა – 6500 ქვეითი, 19 თვითმფრინავი, 1 საპატრულო კატარა.

ჯგუფს ხელმძღვანელობდა საზღვაო ძალების ლეიტენანტი კლარკი. კუნძულის მცირერიცხოვანი გარნიზონის განადგურების შემდეგ, მათ შეძლეს დესანტირების რაიონის შესახებ მნიშვნელოვან

ნი სადაზვერუო მონაცემებს მიწვევა, გადაეცა და პაღო-დოს გაუქმებული შუქურის ამოჭრება. რაც მთავარი, სარდლობას მიწოდეს ინფორმაცია უშუალო მისასვლელთან საზღვაო ნაღმების არარსებობის შესახებ.

სადესანტო ოპერაცია დაიწყო გენერლის საზღვაო ძალების კრეხინებითა და საესკადრო ნაღმონებით ინხონის ინტენსიური დაბომბვით.

გამოიყო დესანტირების 3 მონაკვეთი: „მწვანე“, „წითელი“ და „ლურჯი“. ოპერაციის უშუალოდ ხელმძღვანელობდა ნორმანდისა და ლეიტენანტ დესანტირების ვეტერანი, ადმირალი დევიდ სტრამელი, ხოლო საერთო ხელმძღვანელი იყო თავად მაკარტური.

1950 წლის 10 სექტემბერს 43-მა ამერიკელმა თვითმფრინავმა კუნძულ კოლ-მდოს სანაპირო ნააღმების 93 კანონიკრიტი დაამოშა, რითაც ქვეითებს საბომბელო არეული გაუავისუფლდა.

15 სექტემბერს, დასვლამდის დღის 6:30-ზე, მე-5 საზღვაო ქვეითთა რაზმის მე-3 ბატალიონის მებრძოლები „მწვანე ნაპირს“ კოლ-მდოს სანაპიროზე გადავიდნენ.

17:31-ზე უკვე „წითელი ნაპირზე“ საზღვაო ქვეითებს მცირე წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ მოსაერო კიბეებისა და თიკების გამოყენებით ციკაბო ფლატეები დაიკავეს.

მაღე დესანტმა „ლურჯი ნაპირიც“ დაიკა. სამი მზრიდან შეტყევი მებრძოლებმა საბოლოოდ დასძლეეს მორინააღმდეგის თავდაცვა და ინხონზე სრული კონტროლი დაამყარეს.

ინხონის ბრყინებულ საზღვაო-სადესანტო ოპერაციამ აშშ-ის მე-10 კორპუსს სხვა ძალებთან ერთად საშუალება მისცა მსოფლიო ბრძოლებით 25 სექტემბერს ქალაქი სულე უკან დაებრუნებინა.

ამ ოპერაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პუანის პერიმეტრის გარდღევაში და კორეის ომის იმ ეტაპზე გარდატეხა შეიტანა. ამან გამოიწვია ჩრდილოკორეელთა უკან დახევა ჯერ 38-ე პარალელამდე და შემდეგ მის გადაღმაც. ომის ამ ფაზაში ჩრდილოკორეელთა სრული განადგურება შეაჩერა საბრძოლო მოქმედებებში ჩინეთის შეიარაღებული ძალების ჩართვამ.

ოპერაციის პერიოდში და სულეითვის ბრძოლებში სამხრეთელმა მოკავშირეებმა 566 მებრძოლი დაკარგეს, ხოლო 2713 კი დაიჭრა.
ჩრდილოკორეელთა დანაკარგი გაცილებით მეტი იყო და დაახლოებით 35 ათასი მებრძოლი შეადგინა.

სამწვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ფორმალურად ამ ომს დაასრულებდა, აღმდეგ ხელმოწერილი არ არის



მასტარხ მკაპანამ ბრიტანულ გენერალ გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი



„მაკაროვს“ „იარიგინი“ ანაცვლებს

რუსეთის არმიის ლაიფო მაკაროვის PM-ის უძველესი იარიგინის PЯ ზივის პოსტოლზე

მაკაროვის პისტოლეთი PM საბჭოთა არმიამ შეიარაღებაში ჯერ კიდევ 1951 წელს მიიღო და, ბუნებრივად, 60 წლის შემდეგ მისი შეცვლის დრო დადგა.

ქართულ არმიასაც და პოლიციასაც ძირითადი საშტატო პისტოლეთი „მაკაროვი“ იყო, ბოლო რამდენიმე წელია კი ის თანამედროვე დასავლურმა თუ ისრაელის წარმოების პისტოლეთებმა შეცვალა.

ქართულისგან განსხვავებით, უზარმაზარ რუსულ არმიას ასიათასობით „მაკაროვი“ აქვს შესაცვლელი, რაც ბევრად რთული და ხანგრძლივი პრო-

ცესია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში რუსეთში დაიწყო ახალი პისტოლეთების შექმნა, რომელიც კონკურს ტრაჟ-ის ფარგლებში მიმდინარეობდა. კონკურსში რამდენიმე რუსული საიარაღო საკონსტრუქტორო ბიურო მონაწილეობდა.

მძლავრ ვაზნაზე 9X19 მმ კალიბრის 7H21-ზე შექმერდა. ეს ვაზნა იმ ცენტრალურ საკვლე ინსტიტუტში შეიმუშავეს, რომელსაც ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე ხინიკაძე ხელმძღვანელობდა.

ახალი ვაზნა აუცილებელი იყო,



იარიგინის
PЯ



მაკაროვის
PM

თავიდან ახალი საარმიო პისტოლეთის კონკურსი ითვალისწინებდა უნივერსალური იარაღის შექმნას, რომლის ადაპტაცია ერთდროულად 4 სხვა დასხვა ვაზნაზე (TT-ს 7,62X25 მმ, მაკაროვის PM-ის 9X18 მმ, მოდერნიზებული PMM-ის 9X18 მმ და „ლუგერის“ 9X19 მმ) უნდა ყოფილიყო შესაძლებელი.

მოვითხოვდა არჩევანი ერთ ახალ

რადგან მაკაროვის 9X18 მმ ტიპის ვაზნა სამხედროებს არ მოსწონდათ ამ ვაზნის 6,1 გ მასის ტყვიის საწვავის სიმჭირე 315 მ/წმ იყო, ხოლო საწვავის

ჩ3360 ღოსიმი: ახალი რუსული საარმიო პისტოლეტი — იარიგინის **PI** ვაზნე-ბის გარეშე 950 გ-ს იწონის. მისი სიგრძე 198 მმ-ია, ღულის სიგრძე კი 112,5 მმ. პისტოლეტის სიგანე 38 მმ-ს შეადგენს, სიმაღლე — 145 მმ-ს. მჭიდში 9X19 მმ კალიბრის 18 ვაზნა თავსდება (პირველ ვაიანტს 17-ვაზნიანი მჭიდი ჰქონდა). ტყვიის საწეისი სიჩქარე 460 მ/წმ-ს აჭარბებს. მაღალი სროლის მაქსიმალურ მანძილად 100 მ სახელდება, მაგრამ დამაზნევათი სროლის სიშორე და-ახლოებით 50 მეტრია.

იარიგინის პისტოლეტს ორმაგი მოქმედების საცემ-სასხლეტი მექანიზმი აქვს. სროლისას პისტოლეტის ღულა უკან მცირე მანძილზე გადაადგილდება. ჩაზმაზი დიაა, თუმცა მისი თითი დაშვება ოდნავ მოუხერხებელია.



PI-ს სქემატური სურათი

ნა შექმნათ მართლაც, ახალი 9X18 PMM ტიპის ვაზნის 5,5 გ მასის ტყვიის საწეისი სიჩქარე 410 მ/წმ-მდე, ხოლო საწეისი ენერგია კი 462 ჯოულამდე გაიზარდა, მაგრამ მისი გამოყენება ჩვეულებრივი „მაკაროვის“ სროლისას სახიფათო იყო, რადგან ხშირად პისტოლეტი მწყობრიდან გამოჰყვდა.

აღუქსანდრე ხინიკაძის ხელმძღვანელობით შექმნილი ახალი 9X19 მმ კალიბრის 7H21 ტიპის ვაზნის 5,3 გ მასის ტყვიის საწეისი სიჩქარე 460 მ/წმ-ს აღწევდა, საწეისი ენერგია 560 ჯოულს შეადგენდა და რაც მთავარია, სტანდარტული საარმიო ჯავშანფილეტს (ტიტანის ჯავშანფირფიტა და კვლარის ქსოვილის 30 ფენა) 50 მეტრიდან ხერხტდა.

2000 წელს გამოვლინდა **Гр4-ის** კონკურსის გამარჯვებული იარიგინის პისტოლეტი **MP443**, რომელიც, ისევე როგორც „მაკაროვი“, იყვესის მექანიკურ ქარხანაში დაამზადეს. პისტოლეტი სამი წლის შემდეგ,

ენერგია მხოლოდ 302 ჯოული, რის გამოც „მაკაროვის“ ტყვიის შემაჩერებელი ძალა არასაკმარისი ვახლდათ. თავიდან ეცადნენ „მაკაროვის“ პისტოლეტისთვის უფრო მძლეური ვაზ-





PI-ს არასრული დაშლა



„ლუგერისა“ და 7H21 ტიპის ვაზნები

2003 წელს, ოფიციალურად მიიღეს რუსების ყველა ძალიან სტრუქტურის (მათ შორის — არმიის) შეიარაღებაში PI სახელწოდებით.

მიუხედავად იმისა, რომ PI შეიარაღებაში ჯერ კიდევ 8 წლის წინ მიიღეს, მისი დიდი პარტიებით ყიდვა რუსეთის არმიამ მხოლოდ 2011 წელს დაიწყო.

„მაკაროების“ ახალი პისტოლეტებით შეცვლა იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის არმია, ისევე როგორც სხვა ძალიანი სტრუქტურები, ადრე თუ გვიან, გადავა დასავლური სტანდარტის 9X19 მმ „პარაბელუმ/ლუგერის“ კალიბრზე, მაშინ როდესაც რუსეთის საწვობები გადაეხებულა „მაკაროის“ 9X18 მმ ტიპის მილიონობით ვაზნით.

PI-სთვის გამოდგება როგორც 7H21, ისე 9X19 მმ კალიბრის დასავლური წარმოების ნებისმიერი ვაზნა, მაშინ როდესაც თავად 7H21-ის ტიპის მძლავრი ვაზ-

ნების ჩადება „გლოკში“ თუ „ბერეტაში“ შეიძლება ამ უკანასკნელთათვის სახიფათო გახდეს.

რადგან რუსეთის არმია თავისი საოკუპაციო ბაზებთან კვლავ აუხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში,

ქართველმა სამხედროებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ, რომ ახალი რუსული პისტოლეტ PI-თი ნასროლი ტყვეები დიდი ჯუშანგამტარობით გამოირჩევა.

ირაკლი ალდაშვილი



საარმიო PI-ს კომერციული ვარიანტია MP-446 ვიკინგი, რომელსაც საბრძოლო პისტოლეტისგან განსხვავებით პოლიმერული ჩარჩო აქვს და მისი დეტალებიც შედარებით ნაკლები გამძლეობით გამოირჩევა.

„ვიკინგის“ ერთმა პისტოლეტმა თავისი როლი შეასრულა 2003 წლის შემოდგომაზე „ვარდების რევოლუციის“ გამარჯვებაში, თუმცა ეს სულ სხვა თემა...

66/10

F1557
2010
საერთაშორისო
აეროსაფრენო
აპარატის
კონკურსი

შეკვანი შენი ახსნანი „ახსნანთან“ ჯიშთა



ოხ ჰვიჩაში ჯიშთა, შეიძინათ ჟუჩანთან ჯიშთა
საბჰძოლო ტაქნიკის თითო ახსნოზი მოქანი

აანყვე და შეაგროვე საბრძოლო ტექნიკის
მოდელის კოლექცია საკუთარი ხელით
მაკრატლისა და ნებოს გარეშე.

თითოეული 3D მოდელის
ფასი: 3,5 ლარი
ჟურნალთან ერთად 5 ლარი.



შემდეგი
ნომრიდან!

